საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/1586-15 "29" 07 2015 წ.

შეტყობინება

ააიპ „მედიის განვითარების ფონდს"

როგორც თქვენთვის ცნობილია 2015 წლის 30 ივლისს, 16 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივისათვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით დოკუმენტური ფილმების განთავსების გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის 2015 წლის 18 ივნისის №შ-10/4024-15 სამსახურებრივი ბარათი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების დამატებით მასალას.

დანართი:

1. კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის 2015 წლის 28 ივლისის №შ-10/5277-15 სამსახურებრივი ბარათი – 2 ფურცელ.

2. კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის 2015 წლის 29 ივლისის №შ-10/5324-15 სამსახურებრივი ბარათი დანართით - 1CD დისკი.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ ვახტანგ ამაშუკელს

კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის სპეციალისტის

ლალი გვერდწითელის

სამსახურეობრივი ბარათი

ბატონო ვახტანგ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, კომისიაში მიმდინარე წლის 19 მაისს შემოვიდა ააიპ „მედიის განვითარების ფონდის" განცხადება (კომისიაში რეგისტრაციის N3-6/3109-15), რომელშიც აღნიშნულია, რომ ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის" სამაუწყებლო ბადეში 2015 წლის 22 მარტს და 3 მაისს განთავსდა დოკუმენტური ფილმები: „პრეზიდენტი" და „ყირიმი-გზა სამშობლოსკენ".

აღნიშნული საკითხის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, კომისიამ 2015 წლის 22 მაისს მიმართა (N04/787-15) ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივს" და მოსთხოვა შესაბამისი ხელშეკრულებების კომისიაში წარმოდგენა.

ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივმა" 9 ივნისს კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება (კომისიაში რეგისტრაციის N3-6/3763-15), რომელშიც აღნიშნულია, რომ დირექცია ვერ განსაზღვრავს ასზე მეტი მოწვეული წამყვანის გადაცემების შინაარსს და არ ერევა მათ სარედაქციო საქმიანობაში. ამასთანავე განცხადებაში აღნიშნულია, რომ ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივის" დირექციამ განუმარტა გადაცემის წამყვანს, რომ არასახელმწიფო ენაზე წარმოებული ფილმები ეთერში საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირებული უნდა განთავსდეს.

ამასთან გაცნობებთ, რომ ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივს" დოკუმენტური ფილმების „პრეზიდენტი" და „ყირიმი-გზა სამშობლოსკენ" საქართველოს ტერიტორიაზე მართლზომიერი ჩვენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კომისიაში არ წარმოუდგენია.

მიმდინარე წლის 23 ივლისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს დაევალა ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივი"-ს სამაუწყებლო ბადეში განთავსებულ ფილმებთან დაკავშირებით დამატებითი მოკვლევის განხორციელება. მონიტორინგის შედეგად დაზუსტდა შემდეგი:

ვალერი კვარაცხელიამ, ორივე ზემოთ აღნიშნული ფილმი თავისი შეხედულებისამებრ შეამოკლა (ვინაიდან მისი გადაცემისთვის განკუთვნილი დრო უფრო ნაკლებია ვიდრე ამ ფილმების ქრონომეტრაჟი, რასაც თვითონვე ადასტურებს ორივე გადაცემის დასაწყისში), მან შეამცირა 2:25:50 სთ ფილმი „ყირიმი-გზა სამშობლოსკენ" 95 წუთამდე და10 წუთიანი რეკლამით გაჭრა ის ორ-47 და 48 წუთიან ნაწილად; ასევე შეამცირა 2:31:49სთ ფილმი„პრეზიდენტი"-ს ქრონომეტრაჟი 93 წუთამდე და ამ შემთხვევაშიც 48 და 45 წუთიანი მონაკვეთები გაჭრა 10 წუთიანი რეკლამით. ორივე ფილმი საეთერო ბადეში განათავსა პირველადი წარმოების (რუსულ) ენაზე საქართველოს სახელმწიფო ენაზე დუბლირების გარეშე.

დოკუმენტური ფილმების ჩვენებამდე, ორივე გადაცემაში, ვალერი კვარაცხელია თავად ადასტურებს , რომ ის მაყურებელს სთავაზობს ფილმს და არა ნაწყვეტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივის" მიერ სამსახურეობრივ ბარათში აღნიშნული დოკუმენტური ფილმების საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენება განხორციელდა არამართლზომიერად და ამასთან სახეზეა კომისიის 2009 წლის 30 ოქტომბრის N3 დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა.

გთხოვთ, აღნიშნული სამსახურეობრივი ბარათი რეაგირებისათვის გადასცეთ სამართლებრივ დეპარტამენტს.

პატივისცემით,

ლალი გვერდწითელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელს

ქალბატონ ეკატერინე ჭახრაკიას

კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტის სპეციალისტის

ლალი გვერდწითელის

სამსახურეობრივი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

გიგზავნით, ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივი"-ს სამაუწყებლო ბადეში განთავსებულ დოკუმენტურ ფილმებთან დაკავშირებით, დამატებითი მოკვლევის აუდიოვიზუალურ მასალას.

პატივისცემით,

ლალი გვერდწითელი

დანართი:CD-1ც.

1-10/5374.15
29.07.15
1-CD